

შპს „ბანი“

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2019 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----	6-18

შპს ბანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

აქტივები	შენიშვნა	2019	2018
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	204,753	47,891
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სხვა მოთხოვნები	4	641,161	1,093,865
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	-
მარაგები	5	114,592	217,792
ძირითადი საშუალებები	6	618,636	699,071
არამატერიალური აქტივები	7	734	899
სულ აქტივები		1,579,876	2,059,518
ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	150,787	308,112
საგადასახადო ვალდებულებები		121,393	73,349
მოკლევადიანი სესხები	9	-	130,365
სულ ვალდებულება		272,180	511,846
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,307,596	1,547,572
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		1,307,696	1,547,672
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,579,876	2,059,518

დირექტორი:

ანდრო გუჯაბიძე

მთავარი ბუღალტერი:

ჯულიეტა მაჭავარიანი

შპს ბანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	204,753	47,891
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სხვა მოთხოვნები	4	641,161	1,093,865
წინასწარ გადახდილი გადასახადები	5	-	-
მარაგები	5	114,592	217,792
ძირითადი საშუალებები	6	618,636	699,071
არამატერიალური აქტივები	7	734	899
სულ აქტივები		1,579,876	2,059,518
ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	150,787	308,112
საგადასახადო ვალდებულებები		121,393	73,349
მოკლევადიანი სესხები	9	-	130,365
სულ ვალდებულება		272,180	511,846
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,307,596	1,547,572
გადაფასების რეზერვი		-	-
სულ კაპიტალი		1,307,696	1,547,672
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,579,876	2,059,518

დირექტორი:

ანდრო გუჯაბიძე



მთავარი ბუღალტერი:

ჯულიეტა მაჭავარიანი



შპს ბანი

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019
ამონაგები	10	7,785,649
თვითღირებულება	11	(7,426,398)
საერთო მოგება		359,251
სხვა შემოსავლები		41,002
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(452,091)
საოპერაციო მოგება		(51,838)
ფინანსური ხარჯი	13	(14,655)
მოგება დაბეგვრამდე		(66,493)
მოგების გადასახადი	14	(26,404)
წმინდა მოგება		(92,897)
მთლიანი სრული შემოსავალი		(92,897)

დირექტორი:

ანდრო გუჯაბიძე

მთავარი ბუღალტერი:

ჯულიეტა მაჭავარიანი

შპს ბანი

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის
დასრულებული წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2019
ამონაგები	10	7,785,649
თვითღირებულება	11	(7,426,398)
საერთო მოგება		359,251
სხვა შემოსავლები		41,002
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12	(452,091)
საოპერაციო მოგება		(51,838)
ფინანსური ხარჯი	13	(14,655)
მოგება დაბეგვრამდე		(66,493)
მოგების გადასახადი	14	(26,404)
წმინდა მოგება		(92,897)
მთლიანი სრული შემოსავალი		(92,897)


დირექტორი:

ანდრო გუჯაბიძე



მთავარი ბუღალტერი:

ჯულიეტა მაჭავარიანი



შპს ბანი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	100	-	1,547,572	1,547,572
წმინდა მოგება	-	-	(92,897)	1,426,897
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(92,897)	1,426,897
გაცემული დივიდენდი	-	-	147,079	126,884
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	100	-	1,307,596	1,547,672

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

ანდრო გუჯაბიძე

ჯულიეტა მაჭავარიანი

შპს ბანი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	100	-	1,547,572	1,547,572
წმინდა მოგება	-	-	(92,897)	1,426,897
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(92,897)	1,426,897
გაცემული დივიდენდი	-	-	147,079	126,884
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	100	-	1,307,596	1,547,672

დირექტორი:

ანდრო გუჯაბიძე



მთავარი ბუღალტერი:

ჯულიეტა მაჭავარიანი



შპს ბანი 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბანი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2010 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 404386570. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ.თბილისი, მთაწმინდის რაიონი ქიქოძის ქ. # 12, ფაქტიური მისამართი თბილისი, ლუბლიანას ქ. # 11, კორპ.3, ბ 5. კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2010 წლის 3 სექტემბრიდან. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა. კომპანიის წილის მფლობელები არიან: 67%-იანი წილის მფლობელი ანდრო გუჯაბძე 01008008258, 33%-იანი წილის მფლობელი ფრიდონ ჩიტაია 01017026247, კომპანიის დირექტორია ანდრო გუჯაბძე 01008008258. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 190 და 116 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2019 წლის 1 იანვარს, კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2019 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2019 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ **ძირითად** ფინანსურ ინსტრუმენტებს:

- ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;
- და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიხმარება სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტზე.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი მეთოდით** სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	20 წელი
ნაგებობები	5-15 წელი
მძიმე ტექნიკა	5 წელი
სამშენებლო მოწყობილობები	6-12 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5-7 წელი

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

სამშენებლო კონტრაქტები

თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმომ სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები უნდა აღიაროს, როგორც ამონაგები და ხარჯი, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შესაფასებლად, შესაძლებელი უნდა იყოს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედოდ შეფასება.

საწარმომ ოპერაციის ან ხელშეკრულების შესრულების სტადია ისეთი მეთოდით უნდა განსაზღვროს, რომლის მეშვეობით ყველაზე საიმედოდ შეფასდება შესრულებული სამუშაოს მოცულობა. ნებადართული მეთოდებია:

(ა) პროპორციულობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცე-მული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელ-შეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმარ-თებით. მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებ-ზე გაწეული დანახარჯები არ მოიცავს მომავალ საქმიანო-ბასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორცაა, დანახარ-ჯები მასალებზე ან წინასწარ გადახდილი თანხები (ავანსები);

(ბ) შესრულებული სამუშაოების გამოკვლევის მეთოდი; და
(გ) მომსახურების ოპერაციის, ან სახელშეკრულებო სამუშაოების დასრულების ფიზიკური პროპორციულობის მეთოდი.

კომპანია სამშენებლო კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარებას ახორციელებს პროპორციულობის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს

დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა 3 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
ფული სალაროში	8,293	5,134
ფული საბანკო ანგარიშებზე	196,460	42,756
სულ ჯამი	204,753	47,891

შენიშვნა 4 -სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
-------	---------------------------	------------------------

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	609,229	290,659
დებიტორული დავალიანების ანარიცხი	(2,964)	(2,964)
სხვა მოთხოვნები	27,187	4,920
სამშენებლო აქტივები	-	734,736
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7,709	66,514
სულ ჯამი	641,161	1,093,865

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 30-180 დღეს. კომპანიის მენეჯმენტს ქმნის დებიტორული დავალიანების ანარიცხს 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში 50%-ს ოდენობით, ხოლო 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში სრულად 100 %-ით ახდენს მოთხოვნების დარეზერვებას;

შენიშვნა 5 - მარაგები

ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
სამშენებლო მასალები	112,500	216,730
სხვა მარაგები	2,092	1,062
სულ ჯამი	114,592	217,792

შენიშვნა 6 - ძირითადი საშუალებები

	მიწა, შენობები	ნაგებობები	მძიმე ტექნიკა	კომპიუტერუ ლი ტექნიკა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპო რტო საშუალებ ები	სამშენებლო მოწყობილობე ბი	ჯამი
ლარში								
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	188,451	8,210	387,977	4764	9,064	21,600	458,158	1,078,223
შესყიდვა	107,757		36,167		1,084	14,446	14,134	173,589
გასვლა			216,730			21,600	32,542	270,872
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	296,208	8,210	207,414	4,764	10,148	14,446	439,750	980,941
დაგრძელებული ცვეთა								
2018 წლის ბოლოს მდგომარეობით	19,949	2,476	207,672	2,123	5,185	6,178	135,566	379,149

ცვეთის ხარჯი	9,862	1,509	24,071	941	1,036	6,639	67,475	111 533
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა			111,082			10,498	6,798	128,378
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	29,811	3,985	120,660	3,064	6,221	2,319	196,241	362,304

საბალანსო ღირებულება

2018 წლის ბოლოს	168,501	5,734	180,304	2,640	3,878	15,422	322,592	699,071
2019 წლის ბოლოს	266,397	4,226	86,753	1,700	3,927	12,127	243,507	618,636

შენიშვნა 7 - არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
2018 წლის ბოლოს	1,100	1,100
შემოსავლა		
გასვლა		
2019 წლის ბოლოს	1,100	1,100
	პროგრამული უზრუნველყოფა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია		
2018 წლის ბოლოს	201	201
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	165	165
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია		
2019 წლის ბოლოს	366	366
საბალანსო ღირებულება		
2018 წლის ბოლოს	899	899
2019 წლის ბოლოს	734	734

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	128,254	224,738
მიღებული ავანსები	-	-
გადასახდელი დივიდენდები	22,533	83,375
სულ ჯამი	150,787	308,112

შენიშვნა 9 - სესხები

ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
მოკლევადიანი სესხები	-	130,000

სესხის პროცენტის ვალდებულება	-	385
სულ ჯამი	-	130,385

შენიშვნა 10 - ამონაგები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	7,785,649
სულ ჯამი	7,785,649

შენიშვნა 11 - თვითღირებულება

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი
სამშენებლო კონტრაქტების	
თვითღირებულება	(7,426,398)
სულ ჯამი	(7,426,398)

შენიშვნა 12- ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	(329,187)
საიჯარო ქირა	(11,059)
საწვავის ხარჯები	(5,570)
ცვეთა და ამორტიზაცია	(11,612)
ბანკის მომსახურება	(2,885)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(91,778)
სულ ჯამი	(452,091)

შენიშვნა 12 - ფინანსური ხარჯი

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები	(14,655))
სულ ჯამი	(14,655)

შენიშვნა 13 - მოგების გადასახადი

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი
მოგების გადასხადის ხარჯი	(26,404)
სულ ჯამი	(26,404)

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია
2020 წლის 30 სექტემბერს